ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №347

მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა

ქ. თბილისი «21» ივნისი 2014 წ.

1. **ხელშეკრულების დამდები მხარეები:**

შემსყიდველი – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, წარმოდგენილი სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსის **ნოდარ კბილაშვილის** სახით.

მისამართი: 0112, ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქ. №20.

სკ. 204900483.

საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900 სახელმწიფო ხაზინა, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი TRESGE22.

მიმწოდებელი – **შპს "Media Shift"** წარმოდგენილი დირექტორის **გიორგი ძიძიგურის** სახით.

მისამართი, ტელეფონი: ქ. თბილისი, ატენის ქ №18ა, ტელ:599 330093

სკ: 404974177

საბანკო რეკვიზიტები : GE02TB7118936020100001, სს "თიბისი ბანკი", კოდი: TBCBGE22

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე:

შეთანხმდნენ შემდეგზე:

2. **ხელშეკრულების საგანი** (CVP92220000)

2.1. ხელშეკრულების საგანია ტელეეთერის დროის შესყიდვა (რეკლამის განთავსება).

2.2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა, 7.1.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირ(ებ)ის მოთხოვნისა და დანართი №1-ის, დანართი №2-ის, დანართი №3-ის, დანართი №4-ის, დანართი №5-ის, დანართი №6-ის, დანართი №7-ის და დანართი №8-ის (მომსახურების მიწოდების პირობები და ფასები) შესაბამისად მიაწოდოს შემსყიდველს მომსახურება.

3. **ხელშეკრულების ღირებულება**

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **53235,10** (ორმოცდაცამეტიათას-ორასოცდათხუთმეტი და 0,10) აშშ დოლარს ანგარიშსწორების დღეს ეროვნული ბანკის შესაბამისი კურსით ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს მომსახურების მიწოდებასთან, მათ შორის, კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელსა და სახდელს.

3.2. მომსახურების ერთეულის ფასი და რაოდენობა განისაზღვრება ამ ხელშეკრულების დანართებით.

4. **ანგარიშსწორება**

4.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული მომსახურების ღირებულება ამ მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის საფუძველზე.

4.2. ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო (საბანკო გადარიცხვა).

4.3. ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი.

4.4. ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში) ანგარიშსწორების დღეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალუტო კურსის შესაბამისად.

5. **სტანდარტები**

5.1. ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სტანდარტებს.

6. ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებები

6.1. ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს:

7.1.1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტის უფროსის მიერ გამოყოფილი პირ(ებ)ი — შეკვეთის მიცემის, შესრულების ვადების, მიღება-ჩაბარებისა და მომსახურების რაოდენობის (მოცულობის), ხარისხის კონტროლის საკითხებზე;

7.1.2. სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსის მიერ გამოყოფილი პირ(ებ)ი – 7.1.1 ქვეპუნქტით გაუთვალისწინებელ საკითხებზე.

7.2. კონტროლი განხორციელდება შემდეგი ფორმებით:

7.2.1. ხელშეკრულების პირობებთან მიწოდებული მომსახურების ხარისხისა და რაოდენობის (მოცულობის) შესაბამისობის შემოწმება ვიზუალური (მათ შორის სპეციალისტის მიერ დათვალიერება), ან/და დოკუმენტური მეთოდით;

7.2.2. მიწოდების შეთანხმებული ვადების და რაოდენობის (მოცულობის) დაცვის მონიტორინგი;

7.3. კონტროლი ხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, მომსახურების მიღებისას, აგრეთვე მიღების შემდეგ, მათ შორის, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების არსებობის პერიოდში.

7.4. კონტროლის განხორციელების ადგილია: მომსახურების მიწოდების ადგილი და სხვა ნებისმიერი ადგილი შემსყიდველის არჩევანის მიხედვით.

7.5. კონტროლის განხორციელებისას მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა დაელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 22-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები.

8. მომსახურების მიწოდების პირობები

8.1. მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებას ამ ხელშეკრულების დანარებით განსაზღვრულ ვადებში და ადგილზე.

8.2. მიმწოდებელი ვალდებულია, მომსახურების ან ყოველი მისი ნაწილის მიწოდებისას წარადგინოს კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაცია.

9. ხარისხი

9.1. მომსახურების ხარისხი სულ მცირე უნდა შეესაბამებოდეს ამ ხელშეკრულებით და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

10. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

10.1. მიმწოდებლის მიერ მომსახურების გადაცემა და შემსყიდველის მიერ მისი მიღება დასტურდება ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების (შემსყიდველის მხრიდან 7.1.1. პუნქტში მითითებული პირ(ებ)ის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

10.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემთხვევაში მომსახურების მიწოდების თარიღად ჩაითვლება შემსყიდველისათვის მომსახურების ფაქტობრივად გადაცემის თარიღი.

10.3. მომსახურების ფაქტობრივად გადაცემა არ წარმოადგენს მომსახურების საბოლოოდ მიღებას და არ წარმოშობს ანგარიშსწორების ვალდებულებას.

10.4. შემსყიდველი უფლებამოსილია, განაცხადოს უარი მომსახურების ან მისი ნაწილის მიღებაზე და მათ ანაზღაურებაზე, თუ:

10.4.1. იგი უხარისხოა (მათ შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის შეუსაბამო); ან/და

10.4.2. მიწოდებულია ხელშეკრულებაში ან/და მოთხოვნაში (შეკვეთაში) მითითებულ რაოდენობაზე მეტი ოდენობით (ნამატის ფარგლებში); ან/და

10.4.3. მიწოდებულია ხელშეკრულებაში ან/და მოთხოვნაში (შეკვეთაში) მითითებულ რაოდენობაზე ნაკლები; ან/და

10.4.4. სრული მოცულობით არ არის წარმოდგენილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია; ან/და

10.4.5. ხარვეზების გამოსწორება შეუძლებელია; ან/და

10.4.6. კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10.5. მიმწოდებელს ეკისრება მომსახურების (შესრულებული სამუშაოს) შედეგად შექმნილი ნივთის შემთხვევით დაღუპვის ან დაზიანების რისკი შემსყიდველისათვის შესრულების გადაცემამდე და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის მომენტიდან შემსყიდველზე გადადის მომსახურების (შესრულებული სამუშაოს) შედეგად შექმნილი ნივთის შემთხვევით დაღუპვის ან დაზიანების რისკი.
10.6. მომსახურების (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
10.7. თუ მომსახურება მოიცავს რაიმე ნაკეთობის დამზადებას, მაშინ მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნაკეთობა.

11. უფლებების გადაცემა

11.1. დაუშვებელია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების მთლიანად ან ნაწილობრივ სხვა პირისთვის გადაცემა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებას, რომლის გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში, უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება ამ გარემოებებთან დაკავშირებით.
12.2. თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით. შეთანხმების შემთხვევაში გადავადებულ პერიოდზე მხარეს არ დაეკისრება პირგასამტეხლო.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

13.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
13.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
13.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
13.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია თავდაპირველად დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10% მეტი ოდენობით გაზრდა.
13.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობით, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
13.6. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანის დოკუმენტს ხელს აწერენ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1. მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს, წინასწარი შეტყობინების გარეშე, დაეკისრება შემსყიდველისათვის შემდეგი ოდენობის პირგასამტეხლოს გადახდა:

14.1.1. მომსახურების მიუწოდებლობისათვის (მათ შორის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, უხარისხოდ, არასრული მოცულობით, საჭირო დოკუმენტაციის გარეშე) ხელშეკრულების ღირებულების 0,2% ყოველ ვადაგადაცილებულ სამუშაო დღეზე.

14.2. პირგასამტეხლოს დარიცხვის მიუხედავად, შემსყიდველი უფლებამოსილია:

14.2.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით, შეწყვიტოს ან შეინარჩუნოს ეს ხელშეკრულება;

14.2.2. მიღება-ჩაბარების აქტი გააფორმოს მომსახურების მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც შეესაბამება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ხოლო მომსახურების იმ ნაწილზე, რომელიც არ შეესაბამება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს დაარიცხოს პირგასამტეხლო 14.1.1. ქვეპუნქტის შესაბამისად;

14.3. შემსყიდველის მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ანაზღაურების შეთანხმებულ ვადაში მიმწოდებლისათვის გადაუხდელობის შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება მიმწოდებლისათვის პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ სამუშაო დღეზე გადაუხდელი თანხის 0,2%-ის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს გადაუხდელი თანხის 2%-ისა.

14.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისგან.

14.5. მომსახურების მიუწოდებლობისათვის დღეების მიხედვით დარიცხვადი პირგასამტეხლოს დარიცხვა წყდება ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ.

14.6. თუ ხელშეკრულების შეწყვეტის ან მოქმედების ვადის გასვლის გამო დღეების მიხედვით პირგასამტეხლოს დარიცხვა ვერ ხორციელდება ანდარიცხული პირგასამტეხლოს ჯამი იქნება ხელშეკრულების ღირებულების 6%-ზე ნაკლები, მიმწოდებელს დაეკისრება მხოლოდ ფიქსირებული პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 6%-ის ოდენობით.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. ეს ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:

ა) ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;

ბ) ნებისმიერი მხარის ინიციატივით, ცალმხრივად, თუ მეორე მხარე არ ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, რის თაობაზეც ამ მეორე მხარეს წერილობით მიეცა გაფრთხილება და ამ დარღვევის გამოსასწორებლად მიეცა დამატებითი ვადა არანაკლებ 5 სამუშაო დღის ოდენობით. ამასთან, დამატებითი ვადა შეიძლება არ მიეცეს, თუ აშკარაა, რომ მას შედეგი არ ექნება, ან ვალდებულების არ ან არაჯეროვნად შესრულების გამო შეწყვეტის ინიციატორ მხარეს ხელშეკრულების საგნისადმი ინტერესი ეკარგება, ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

15.2. ხელშეკრულების შეწყვეტა (მათ შორის, ვადის გასვლის გამო შეწყვეტა) არ ათავისუფლებს მხარეებს:

ა) იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოიშვა ან/და მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებად გამოიყენება (ამ მოთხოვნის არსებობის პერიოდში);

ბ) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების ვალდებულებისაგან (ზიანის არსებობის შემთხვევაში).

15.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ფორს-მაჟორი

16.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის ფორს-მაჟორის შემთხვევაში, როდესაც ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეუძლებელია.

16.2. „ფორს-მაჟორის“ ქვეშ იგულისხმება გარემოება, რომლებიც არ არსებობდა ამ ხელშეკრულების დადებისას და რომლის თავიდან აცილება ან გადალახვა მხარეს არ შეეძლო, კერძოდ: საომარი მდგომარეობა/საბრძოლო მოქმედება, წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი, ავარია, გაფიცვა, ეპიდემია, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირება და სხვა მსგავსი გარემოებანი.

16.3. მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ (ფორს-მაჟორის დადგომიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა) აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებადობის შესახებ. შეუტყობინებლობის ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორის არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს. შეტყობინებაში მითითებული ფორს-მაჟორის ფაქტი უნდა დადასტურდეს.

16.4. ფორს-მაჟორის მიუხედავად მხარე, რომლისთვისაც ნაკისრი ვალდებულების შესრულება შეუძლებელი ხდება, კეთილსინდისიერებისა და გონიერების ფარგლებში, მიმართავს ვალდებულების შესრულების ყველა შესაძლო ალტერნატიულ ხერხს.

16.5. თუ ფორს-მაჟორული მდგომარეობა 30 კალენდარულ დღეზე მეტ ხანს გრძელდება, მაშინ მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება.

17. სადაო საკითხების გადაწყვეტა

17.1. მხარეები თანხმდებიან, რომ მათ შორის ამ ხელშეკრულებასა ან მის განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სადაო საკითხი მოლაპარაკების მეშვეობით მოაგვარონ.

17.2. თუ სადავო საკითხი მოლაპარაკებით ვერ მოგვარდა, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

18. გადასახადები და დაბეგვრა

18.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

19. შეტყობინება

19.1. თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების ფარგლებში ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა წარმოებს წერილობითი ფორმით და იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით ან მიეწოდება უშუალო ადგილსამყოფლის მიხედვით. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

19.2. შემსყიდველის მიერ შეტყობინება მიწოდებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ მან შეტყობინება გაგზავნა მიმწოდებლის ყოფილ მისამართზე, რომელიც მომწოდებელმა შეცვალა, მაგრამ ამის თაობაზე არ აცნობა შემსყიდველს. ამ შემთხვევაში შეტყობინება მიწოდებულად ითვლება გაგზავნის მეორე სამუშაო დღეს.

20. სხვა პირობები

20.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2014 წლის 30 ივნისის** ჩათვლით.

20.2. ხელშეკრულების დანართები წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

20.3. ყველა სხვა საკითხი რაც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

20.4. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის სამუშაო დღე არის კალენდარული დღე შაბათის, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა.

20.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 4 ეგზემპლარად.

შემსყიდველის მხრიდან:
ნ. კბილაშვილი
საქართველოს თავდაცვის სამინისტროს
სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის
უფროსი

მიმწოდებლის მხრიდან:
გ. ძიძიგური
შპს "Media Shift"-ის
დირექტორი

დანართი №1

2014 წლის "21" მაისი 347"№ ხელშეკრულებასთან

მომსახურების მიწოდების პირობები და ფასები

რუსთავი 2

სააგენტო	მედია შიფტი	
ბრენდი	თავდაცვის სამინისტრო	15:41
ქრონომეტრაჟი	45"	21.05.2014

მაისი

დრო	პროგრამა	1 წუთის ფასი	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	გაშვებების რაოდენობა	წამები	საეთერო ღირებულება
			26	27	28	29	30	31			
8:54	„დილა მშვიდობის,საქართველო“ IV ბლ,	$650,00	45	45	45	45	45		5	225	$2 437,50
11:53	„კურიერი 12 საათზე“ წინ	$900,00	45	45	45	45	45	45	6	270	$4 050,00
14:55	„კურიერი 15 საათზე“ წინ	$1 000,00	45	45	45	45	45	45	6	270	$4 500,00
17:52	„კურიერი 18 საათზე“ წინ	$1 800,00	45	45	45	45	45	45	6	270	$8 100,00
20:53	„კურიერი 21 საათზე“ წინ	$3 700,00	45	45	45	45	45	45	6	270	$16 650,00
20:55	"PS" წინ	$3 100,00							0	0	$0,00
22:30	X ფაქტორი I ბლ.	$5 200,00	45						1	45	$3 900,00
			6	5	5	5	5	4			
									30	**1350**	**$39 637,50**
										პრაიმის წილი	52%
										ფასდაკლება	43,91%
											$22 232,67

შემსყიდველის მხრიდან:
ნ. კბილაშვილი
საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო
შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი

მიმწოდებლის მხრიდან:
გ. ძიძიგური
შპს "Media Shift"-ის
დირექტორი

დანართი №2

2014 წლის "21" მაისი 347 "№ ხელშეკრულებასთან

მომსახურების მიწოდების პირობები და ფასები

სააგენტო	მედია შიფტი
ბრენდი	თავდაცვის სამინისტრო
ქრონომეტრაჟი	45"

იმედი 15:41

21.05.2014

მაისი

დრო	პროგრამა	1 წუთის ფასი	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	გაშვებების რაოდენობა	წამები	საეთერო ღირებულება
			26	27	28	29	30	31			
10:59	ქრონიკა	$650,00	45	45	45	45	45	45	6	270	$2 925,00
13:59	ქრონიკა	$650,00	45	45	45	45	45	45	6	270	$2 925,00
16:59	ქრონიკა	$1 000,00	45	45	45	45	45	45	6	270	$4 500,00
22:00	ქრონიკა	$4 500,00					45		1	45	$3 375,00
			3	3	3	3	4	3			
									19	855	$13 725,00

პრაიმის წილი	25%
ფასდაკლება	53,00%
	$6 450,75

შემსყიდველის მხრიდან:
ნ. კბილაშვილი
საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო
შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი

მიმწოდებლის მხრიდან:
გ. ძიძიგური
შპს "Media Shift"-ის
დირექტორი

დანართი №3

2014 წლის "21" მაისი 347 "№ ხელშეკრულებასთან

მომსახურების მიწოდების პირობები და ფასები

დანართი №4

2014 წლის "21" "მაის 347"№ ხელშეკრულებასთან

მომსახურების მიწოდების პირობები და ფასები

TV3

სააგენტო	მედია შიფტი
ბრენდი	თავდაცვის სამინისტრო
ქრონომეტრაჟი	45"

მაისი

დრო	პროგრამა	1 წუთის ფასი	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	გაშვებების რაოდენობა	წამები	საეთერო ღირებულება
			26	27	28	29	30	31			
19:57	მთავარი ამბები 8 საათზე ნანა ლეჟავასთან ერთად, წინ	$500,00	45	45	45	45	45		5	225	$1 875,00
20:15	მთავარი ამბები 8 საათზე ნანა ლეჟავასთან ერთად, I ბლოკი	$500,00	45	45	45	45	45		5	225	$1 875,00
19:55	მთავარი ამბები 8 საათზე, წინ	$400,00						45	1	45	$300,00
20:25	მთავარი ამბები 8 საათზე, I ბლოკი	$400,00						45	1	45	$300,00
			2	2	2	2	2	2			
									12	**540**	**$4 350,00**
										ფასდაკლება	10%
											$3 915,00

შემსყიდველის მხრიდან:
ნ. კბილაშვილი
საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო
შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი

მიმწოდებლის მხრიდან:
გ. ძიძიგური
შპს "Media Shift"-ის
დირექტორი

დანართი №5

2014 წლის "21" მაისი 347 "№ ხელშეკრულებასთან

მომსახურების მიწოდების პირობები და ფასები

ობიექტივი

სააგენტო	მედია შიფტი
ბრენდი	თავდაცვის სამინისტრო
ქრონომეტრაჟი	45"

15:41

21.05.2014

მაისი

დრო	პროგრამა	1 წუთის ფასი ლარი (დღგ გარეშე)	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	გაშვებების რაოდენობა	წამები	საეთერო ღირებულება ლარი
			26	27	28	29	30	31			
10:55	ობიექტივი	150,00	45	45	45	45	45	45	6	270	675,00
12:55	ობიექტივი	120,00	45	45	45	45	45	45	6	270	540,00
14:55	ობიექტივი	210,00	45	45	45	45	45	45	6	270	945,00
15:55	ობიექტივი	210,00	45	45	45	45	45	45	6	270	945,00
16:55	ობიექტივი	150,00	45	45	45	45	45	45	6	270	675,00
18:55	ობიექტივი	180,00	45	45	45	45	45	45	6	270	810,00
19:55	ობიექტივი	180,00	45	45	45	45	45	45	6	270	810,00
20:55	ობიექტივი	180,00	45	45	45	45	45	45	6	270	810,00
21:55	ობიექტივი	180,00	45	45	45	45	45	45	6	270	810,00
22:55	ობიექტივი	240,00	45	45	45	45	45	45	6	270	1 080,00
			10	10	10	10	10	10			
									60	**2700**	**8 100,00**

დღგ–ს ჩათვლით	**9 558,00**
ფასდაკლება	
ბიუჯეტი ლარში	**9 558,00**
ბიუჯეტი აშშ დოლარში	**5 461,71**

კურსი: 1აშშ დოლარი= 1,75 ლარი

შემსყიდველის მხრიდან:
ნ. კბილაშვილი
საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო
შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი

მიმწოდებლის მხრიდან:
გ. ძიძიგური
შპს "Media Shift"-ის
დირექტორი

დანართი №6

2014 წლის "21" აპრილ 344 "№ ხელშეკრულებასთან

მომსახურების მიწოდების პირობები და ფასები

საგანგებო	
ბრენდი	
ქრონომეტრაჟი	

მაისი

დრო	პროგრამა	1 წუთის ფასი	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	გაშვებების რაოდენობა	წამები	საეთერო ღირებულება
			26	27	28	29	30	31			
18:55	რეზიუმე	$80,00	45	45	45	45	45		5	225	$300,00
			1	1	1	1	1	0			
									5	225	$300,00

ფასდაკლება 15%

$255,00

შემსყიდველის მხრიდან:
ნ. კბილაშვილი
საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო
შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი

მიმწოდებლის მხრიდან:
გ. ძიძიგური
შპს "Media Shift"-ის
დირექტორი

დანართი №7

2014 წლის "21" მაისის 347 "№ ხელშეკრულებასთან

მომსახურების მიწოდების პირობები და ფასები

GDS

დამკვეთი	მედია შიფტი	
ბრენდი	თავდაცვის სამინისტრო	15:41
ქრონომეტრაჟი	45"	21.05.2014

მაისი

დრო	პროგრამა	60 წამის ღირებულება	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	გაშვებების რაოდენობა	წამები	საეთერო ღირებულება
			28	29	30	31			
22:15	მუსიკალური შოუ "ერთი ერთში"	$1 200,00	45				1	45	$900,00
			1	0	0	0			
							1	45	$900,00

ფასდაკლება	5%	-$43,20
სულ ფასდაკლებით		$856,80
ფასნამატი		$0,00
დღგ		$154,22
საბოლოო თანხა		$1 011,02

შემსყიდველის მხრიდან:
ნ. კბილაშვილი
საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო
შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი

მიმწოდებლის მხრიდან:
გ. ძიძიგური
შპს "Media Shift"-ის
დირექტორი

დანართი №8

2014 წლის "21" მაისი 347"№ ხელშეკრულებასთან

მომსახურების მიწოდების პირობები და ფასები

ტელეკომპანია კავკასიის სარეკლამო მომსახურების ტარიფები:

				მაისი						
				26	27	28	29	30		
გადაცემის დასახელება	განთავსების რაოდენობა	საეთერო დრო	1 წთ-ის ღირებულება აშშ დოლარი	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	Tot Sec	Price USD
სტუდია "სპექტრი" (დასაწყისი)	5	21:00	$120	45	45	45	45	45	225	$450
სტუდია "სპექტრი" (ჭრა)	5	21:30	$180	45	45	45	45	45	225	$675
გადაცემა "ბარიერი" (დასაწყისი)	2	22:25	$180		45		45		90	$270
				2	3	2	3	2		

განთავსების რაოდენობა	საეთერო ღირებულება	ფასდაკება %	გადასახდელი თანხა
12	$1 395	20	$1 116

ფასები მოცემულია აშშ დოლარში და შეიცავს დღგ-ს

შემსყიდველის მხრიდან:
ნ. კბილაშვილი
საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო
შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი

მიმწოდებლის მხრიდან:
გ. ...
შპს "Media Shift"
დირექტორი